საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის

ეთიკის კომისიის

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

დისციპლინური დევნის აღძვრაზე უარის თქმის თაობაზე

მეორე დისციპლინური კოლეგიის შემადგენლობა:

თორნიკე ბაქრაძე– კოლეგიის თავმჯდომარე

მარიკა არევაძე– კოლეგიის წევრი

ცისმარი ონიანი – კოლეგიის წევრი

საჩივრის ავტორი: ნ. ჯ.

საჩივრის კომისიაში შემოსვლის თარიღი: 15.05.2018

საჩივრის რეგისტრაციის ნომერი: 064/18

საჩივარი შემოტანილია: ადვოკატ გ. ა.-ის მიმართ /სიითი №..../

საჩივრისმოთხოვნა: ადვოკატ გ. ა.-ისათვის ,,ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ'' დებულებით გათვალისწინებული პასუხისმგებლობის დაკისრება

I აღწერილობითი ნაწილი

1. **საჩივრის ავტორის პოზიცია:**

1.1 საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიას 2018 წლის 15 მაისს საჩივრით მომართა ნ. ჯ.-მ და მოითხოვა ადვოკატ გ. ა.-ისთვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება და გადაცემული საადვოკატო მომსახურების თანხის დაბრუნება.

1.2 საჩივრის ავტორი განმარტავს, რომ 2005 წლიდან არის ემიგრანტი და უკვე 13 წელია, რაც ცხოვრობს საბერძნეთში. საჩივრის ავტორის განცხადებით, იმის გამო, რომ არ აქვს შესაბამისი დოკუმენტაცია, ვერ ახერხებს საქართველოში ჩამოსვლას, სადაც ჰყავს ოჯახი: შვილი, რძალი და ორი მცირეწლოვანი შვილიშვილი.

1.3 საჩივრის ავტორის განმარტებით, მის მთავარ სამართლებრივ პრობლემას სამკვიდროს მიღების საკითხი წარმოადგენს. საჩივრის ავტორი განმარტავს, რომ ემიგრაციაში ყოფნის დროს 2015 წლის 10 ივლისს გარდაეცვალა მამა, დ. გ., რომლის სამკვიდროდან მას უნდა მიეღო კუთვნილი წილი.

სამკვიდროსთან დაკავშირებული პრობლემის მოგვარების მიზნით, სოციალური ქსელის გამოყენებით დაუკავშირდა ადვოკატ გ. ა.-ს, რომელიც ფეისბუქ გვერდზე წერდა, რომ კეთილსინდისიერად და შეღავათიან ფასებში მოემსახურებოდა ემიგრანტებს. საჩივრის ავტორის განცხადებით, ძნელია დისტანციურად შეარჩიო კეთილსინდისიერი პიროვნება, რომლისგანაც სრულყოფილად მიიღებ სამართლებრივ მომსახურებას.

1.4 საჩივრის ავტორის განმარტებით, მისი მეორე სამართლებრივი პრობლემა უკავშირდება ყოფილი მეუღლის - მ. ჯ.-ს მისი სახლიდან გამოსახლების საკითხს. საჩივრის ავტორი განმარტავს, რომ 22 წელია რაც სამართლებრივად განქორწინებულია მ. ჯ.-სთან, თუმცა ეს უკანასკნელი მისი სურვილისა და თანხმობის გარეშე ცხოვრობდა ნ. ჯ.-ს კუთვნილ ბინაში ქ.რუსთავში. საჩივრის ავტორის განცხადებით, ყოველდღიურად არაფხიზელ მდგომარეობაში მყოფი მ. ჯ. ფიზიკურად და სიტყვიერად ძალადობდა მის მცირეწლოვან შვილიშვილებზე. საჩივრის ავტორის განმარტებით, მ. ჯ. ნებაყოფლობით არ ტოვებდა მის კუთვნილ ბინას, ამიტომ მიმართა ადვოკატ გ. ა.-ს, რათა მას უზრუნველეყო მ. ჯ.-ს გამოსახლების პროცესი პოლიციის ძალით.

1.5 საჩივრის ავტორი განმარტავს, რომ ადვოკატ გ. ა.-ს ორჯერ გაუფორმა მინდობილობა. პირველი მინდობილობა გაფორმდა 2015 წლის 16 ოქტომბერს, ხოლო მეორე 2015 წლის 02 დეკემბერს და ეს მინდობილობები დღემდე არ გაუქმებულა.

1.6 საჩივრის ავტორის განმარტებით, მასსა და ადვოკატ გ. ა.-ს შორის გაფორმდა ხელშეკრულება, რომლის თანახმად მომსახურების ღირებულებად განისაზღვრა 1500 (ათას ხუთასი) ლარი. საჩივრის ავტორის განცხადებით, მან ადვოკატ გ. ა.-ს ხელშეკრულებით განსაზღვრულ საფასურზე მეტი თანხა გადაუხადა. საჩივრის ავტორი განმარტავს, რომ ადვოკატ გ. ა.-ს 2015 წლის 03 ოქტომბერს გადაუხადა 1100 (ათას ასი) ლარი, ხოლო 2015 წლის 03 ნოემბერს 900 (ცხრაასი) ლარი.

1.7 ნ. ჯ.-ს განცხადებით, მეორე მინდობილობის გაფორმების შემდეგ ადვოკატმა გ. ა.-მ საქმის წარმოების დასაწყებად დამატებით მოთხოვა თანხის გადახდა. თანხის გადაუხდელობის შემთხვევაში ადვოკატი ეუბნებოდა, რომ შუა გზაში მიუტოვებდა საქმეებს და იგი პასუხს არაფერზე აგებდა. საჩივრის ავტორი განმარტავს, რომ 2015 წლის 04 დეკემბერს ადვოკატ გ. ა.-ს გადაურიცხა 100 (ასი) ევრო, 2015 წლის 23 დეკემბერს 210 (ორას ათი) ლარი, 2016 წლის 16 თებერვალს 100 (ასი) ლარი, 2016 წლის 19 აპრილს 100 (ასი) ლარი და 2016 წლის 12 ივლისს 100 (ასი) ლარი. საჩივრის ავტორის განმარტებით, სულ ადვოკატ გ. ა.-ისთვის გადარიცხული აქვს 2510 ლარი და 100 ევრო, რასაც საქმეში მტკიცებულების სახით წარმოდგენილი გადარიცხვის ქვითრები ადასტურებს. საჩივრის ავტორი განმარტავს, რომ ადვოკატმა გ. ა.-მ ზემოთაღნიშნული თანხები მოტყუებით გადაარიცხინა, რადგან ადვოკატს რეალურად არ ჰქონდა დაწყებული საქმეების წარმოება.

1.8 საჩივრის ავტორი განმარტავს, რომ ადვოკატმა გ. ა.-მ სწრაფი რეაგირება ვერ მოახდინა მ. ჯ.-ს გამოსახლების საკითხთან დაკავშირებით, რადგან იგი წელიწად–ნახევრის განმავლობაში თხოვდა ადვოკატს გამოსახლების საქმე დაესრულებინა. საჩივრის ავტორი აცხადებს, რომ მ. ჯ.-ს გამოსახლების საკითხი ადვოკატმა გ. ა.-მ მხოლოდ მას შემდეგ მოაგვარა, როდესაც ნ. ჯ.-ს მეგობარი ქალბატონი მ. ე. ჩაერია საქმეში და ადვოკატს განცხადება დააწერინა რუსთავის პოლიციის სამმართველოში. საჩივრის ავტორის განმარტებით, მ. ჯ. დაუსწრებლად გამოასახლეს ბინიდან, ხოლო ეს უკანასკნელი დღესაც ფიქრობს, რომ ის სახლიდან გამოასახლა

არა ნ. ჯ.-მ, არამეს საკუთარმა შვილმა, ამიტომ საჩივრის ავტორს ეშინია მისმა ყოფილმა მეუღლემ თავისი არაადეკვატური ქმედებით კვლავ არ შეაწუხოს ოჯახი.

1.9 საჩივრის ავტორის განცხადებით, როდესაც საქმეს აჭიანურებდა, ადვოკატი არ ინტერესდებოდა მისი ოჯახის ბედით, თუ რაოდენ მძიმე ფსიქოლოგიური წნეხის ქვეშ იმყოფებოდნენ მისი მცირეწლოვანი შვილიშვილები.

1.10 საჩივრის ავტორი განმარტავს, რომ მან კეთილსინდისიერად შეასრულა ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობები. ადვოკატს გადაურიცხა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ საზღაურზე მეტი თანხა, მაგრამ ადვოკატმა გ. ა.-მ არ შეასრულა ნაკისრი ვალდებულება.

1.11 საჩივრის ავტორი განმარტავს, რომ უკვე მესამე წელია ელოდება სამკვიდროს მიღებას. საჩივრის ავტორის განცხადებით, აღნიშნული საქმის წარმოებისთვის ადვოკატმა გ. ა.-მ დამატებით მოთხოვა თანხის გადახდა.

1.12 საჩივრის ავტორი განმარტავს, რომ ადვოკატთან კომუნიკაცია ჰქონდა სკაიპისა და ვაიბერის მეშვეობით, თუმცა ადვოკატი მას დამამცირებელ შეტყობინებებს უგზავნიდა. საჩივრის ავტორის განცხადებით, ადვოკატმა გ. ა.-მ ფეისბუქ გვერდიდან წაშალა ყველა განცხადება, რომლის მეშვეობითაც რეკლამას იკეთებდა, გააუქმა სკაიპი და ვაიბერი. კომუნიკაციის გართულების შემდეგ, საჩივრის ავტორი ადვოკატთან პირად ნომერზე უშედეგოდ ცდილობდა დაკავშირებას, რადგან გ. ა. არ პასუხობდა სატელეფონო ზარებს, ხოლო პასუხის შემთხვევაში აცხადებდა რომ არ ეცალა.

1.13 საჩივრის ავტორი განმარტავს, რომ ადვოკატს მოსთხოვა გადახდილი თანხის დაბრუნება, ხოლო ამ უკანასკნელმა მას გაუგზავნა ამონაწერები საჯარო რეესტრიდან, თითქოსდა გადახდილი თანხები ამ საბუთების მომზადებაში დახარჯა.

1.14 საპროცესო კოლეგიის სხდომაზე 2018 წლის 16 ივლისს საჩივრის ავტორმა დამატებით განმარტა, რომ როდესაც საქმის წარმოება ჭიანურდებოდა, მან ათენიდან დახმარება სთხოვა საქართველოში მცხოვრებ მეგობარს - მ. ე.-ს, რომელიც მივიდა ადვოკატ გ. ა.-სთან და ესაუბრა მას. საჩივრის ავტორი აცხადებს, რომ მ. ე. გაყვა ადვოკატს პოლიციაში განცხადების დასაწერად და აღმასრულებელთან მ. ჯ.-ს გამოსახლების საკითხთან დაკავშირებით.

1.15 საჩივრის ავტორი განმარტავს, რომ ადვოკატის საქციელის გამო გადაიტანა ინფარქტი. იმის გამო, რომ ადვოკატმა გ. ა.-მ მ. ჯ. არ დაასწრო გამოსახლების პროცესს, საქმე ბოლომდე არ დაუსრულებია.

1.16 საჩივრის ავტორის განმარტავს, რომ 2 წელია რაც კომუნიკაცია არ აქვს ადვოკატთან. ადვოკატმა გ. ა.-მ საქმის წარმოებისთვის წინასწარ აიღო 2510 ლარი და 100 ევრო და არსებობს ამის დამადასტურებელი ქვითრები.

1.17 საჩივრის ავტორი განმარტავს, რომ იგი არ ფლობს ინფორმაციას საქმის წარმოების მიმდინარეობის შესახებ, რადგან ადვოკატთან კომუნიკაცია არ აქვს.

1.18 საჩივრის ავტორის განმარტებით, მან დამატებითი თანხები გადაიხადა ადვოკატ გ. ა.-ის თხოვნით და ამასთან დაკავშირებით მხარეთა შორის ახალი ხელშეკრულება არ გაფორმებულა. საჩივრის ავტორის განმარტებით, მან ადვოკატს სთხოვა საქმის მასალების გადაცემა და ადვოკატმა გადაუგზავნა მას საქმის მასალები, თუმცა იგი მაინც მიიჩნევს, რომ არ ფლობს ინფორმაციას საქმის მსვლელობის შესახებ.

1.19 საჩივრის ავტორი განმარტავს, რომ ადვოკატმა გ. ა.-მ გადახდილი ჰონორარი უნდა დაუბრუნოს სრულად, რადგან მის მიერ ნაწარმოები არც ერთი საქმე ბოლომდე არ დასრულებულა.

2. ადვოკატის პოზიცია:

2.1 ადვოკატმა გ. ა.-მ 2018 წლის 29 მაისს ეთიკის კომისიაში წარმოადგინა ახსნა-განმარტება, სადაც მიუთითა, რომ საჩივრის ავტორის პოზიცია რომ ადვოკატი აჭიანურებდა მისი სამოქალაქო საქმეების წარმოებას, არ შეესაბამება სიმართლეს.

2.2 ადვოკატის განმარტებით, ნ. ჯ.-ს მემკვიდრეობის საკითხთან დაკავშირებით მუშაობა დაიწყო 2016 წლის 18 თებერვალს, ნ. ჯ.-ს მიერ მისთვის მიცემული N..... მინდობილობის საფუძველზე. ადვოკატის განცხადებით, საქმეში წარმოდგენილია სამკვიდროს გამცემი ნოტარიუსის გ. გ.-ის მიერ გაცემული ცნობა ადვოკატ გ. ა.-ის მიმართვაზე. ადვოკატის განმარტებით, მან კლიენტს აუხსნა, რომ სამკვიდროს გასცემს ნოტარიუსი და არა ადვოკატი.

2.3 ადვოკატი განმარტავს, რომ მას კომუნიკაცია ჰქონდა ნოტარიუსს გ. გ.-თან და მასთან გაიარა ყველა ის საკითხი, რაც საჭირო იყო სამკვიდროს მისაღებად. ადვოკატის განცხადებით, მან დაიწყო შემდეგი საბუთების შეგროვება: ნ. ჯ.-ს დაბადების მოწმობა, ლ. გ.-ის გარდაცვალების მოწმობა, დ. გ.-ის გარდაცვალების მოწმობა, ნ. ჯ.-ს საინფორმაციო ბარათი, არქივიდან ამოიღო ქორწინებისა და განქორწინების მოწმობები.

2.4 ადვოკატი განმარტავს, რომ მემკვიდრეობათან დაკავშირებული საკითხის მოგვარების პროცესში მას დაუკავშირდა ნ. ჯ., რომელიც საკმაოდ აღელვებული იყო და სთხოვა პირველ რიგში ყოფილი მეუღლის გამოსახლების პრობლემა მოეგვარებინა. ადვოკატის განმარტებით, მან მყისიერად განაახლა საჯარო რეესტრის ამონაწერი და განცხადებით მიმართა ქ.რუსთავის პოლიციას. ადვოკატი განმარტავს, რომ გამომძიებელმა დაიბარა მ. ჯ. და იგი გააფრთხილა, რომ თავი შეეკავებინა ნ. ჯ.-ს საკუთრებით სარგებლობისგან და აღარ შეეწუხებინა ოჯახი. ადვოკატის განმარტებით, კანონში შესული ცვლილებების შედეგად გამოსახლების საკითხი სასამართლოს კომპეტენციას დაექვემდებარა და შესაბამისად მ. ჯ.-ს გამოსახლების მოთხოვნით სასარჩელო წარმოების წესით მიმართა სასამართლოს. ადვოკატის განცხადებით, რუსთავის საქალაქო სასამართლომ მიიღო დაუსწრებელი გადაწყვეტილება მ. ჯ.-ს გამოსახლების თაობაზე.

2.5 ადვოკატის განმარტებით, მან აიღო სააღსრულებო ფურცელი და დაესწრო მ. ჯ.-ს გამოსახლების პროცესს. ადვოკატის განცხადებით, მან სააღსრულებო ბიუროდან მოცემულ საკითხთან დაკავშირებით გამოითხოვა სრული ინფორმაცია, მათ შორის გამოსახლების ოქმი, რომელიც მტკიცებულების სახით წარმოდგენილია საქმეში.

2.6 ადვოკატი განმარტავს, რომ ნ. ჯ.-ს ორივე სამოქალაქო საქმე ერთროულად მიმდინარეობდა, შესაბამისად, საჩივრის ავტორის პრეტენზია იმასთან დაკავშირებით, რომ ადვოკატი აჭიანურებდა საქმის წარმოებას, დაუსაბუთებელია.

2.7 ადვოკატი განმარტავს, რომ ნოტარიუსს გ. გ.-ს ორჯერ მიმართა ნ. ჯ.-ს ძმამ ს. გ.-მა სამკვიდრო ქონების მხოლოდ მასზე გაცემის მოთხოვნით. ნოტარიუსმა სამკვიდრო ქონების მხოლოდ ს. გ.-ისთვის გაცემაზე უარი განაცხადა, რადგან მის გარდა კიდევ იყო ორი მემკვიდრე. ადვოკატის განმარტებით, ს. გ.-მა სარჩელი შეიტანა რუსთავის საქალაქო სასამართლოში, რათა იგი ეცნოთ ერთპიროვნულ მემკვიდრედ. ს. გ.-ის სარჩელი არ დაკმაყოფილდა, ხოლო ამ უკანასკნელმა გადაწყვეტილება გაასაჩივრა სააპელაციო წესით. ადვოკატი განმარტავს, რომ სააპელაციო

სასამართლოში პროცესი არ ჩანიშნულა ნ. ჯ.-ს დის ინტერესების დამცველის ა. ხ.-ის ჯანმრთელობის მდგომარეობის გათვალისწინებით. ადვოკატი განმარტავს, რომ რადგან დავა კვლავ მიმდინარეობს.

2.8 ადვოკატის განმარტებით, საჩივრის ავტორის პოზიცია იმ საკითხთან დაკავშირებით, რომ მან ნ. ჯ.-ს დამატებითი თანხის გადახდა მოთხოვა, არ შეესაბამება სიმართლეს. ადვოკატი განმარტავს, რომ გამოსახლების საკითხთან დაკავშირებული საქმის წარმოებაში მას ნ. ჯ.-სგან თანხა არ აუღია.

2.9 ადვოკატის განმარტებით, მან კეთილსინდისიერად შეასრულა ხელშეკრულებით ნაკისრი მოვალეობა.

2.10 საპროცესო კოლეგიის სხდომაზე 2018 წლის 24 ივლისს ადვოკატმა გ. ა.-მ დამატებით განმარტა, რომ საქმის წარმოებისთვის საჭირო სახელმწიფო ბაჟი 100 (ასი) ლარის ოდენობით და სააღსრულებო მოსაკრებლის თანხა 100 (ასი) ლარი თავად გადაიხადა.

2.11 ადვოკატმა განმარტა, რომ საჩივრის ავტორის წილი სამკვიდრო ქონებაში დადგენილია და ნ. ჯ.-ს ეკუთნის მამის დანაშთი ქონებიდან 1/3. ადვოკატი განმარტავს, რომ სააპელაციო სასამართლოში საქმის წარმოების ეტაპზე ჩართული არაა, რადგან ჯერ საბუთები არ მიუღია სასამართლოდან.

2.12 ადვოკატის განმარტებით, საჩივრის ავტორის პოზიცია იმ საკითხთან დაკავშირებით, რომ ადვოკატი ის კლიენტს არ აწვდიდა ინფორმაციას, არ შეესაბამება სიმართლეს. ადვოკატი განმარტავს, რომ კლიენტთან სისტემატიური კავშირი ჰქონდა და დეტალურად აწვდიდა მას საქმის წარმოების შესახებ ინფორმაციას. ადვოკატის განმარტებით, კლიენტთან ბოლო კომუნიკაცია შედგა ეთიკის კომისიაში საჩივრის შემოტანამდე 3–4 კვირით ადრე. კომუნიკაციას ჰქონდა ორმხრივი ხასიათი, ის თავადაც უკავშირდებოდა კლიენტს და ნ. ჯ.ც უკავშირდებოდა საქმეზე ინფორმაციის მისაღებად.

2.13 ადვოკატმა განმარტა, რომ ხელშეკრულებით შეთანხმებულ მომსახურების საზღაურში – 1500 (ათას ხუთასი) ლარში შედიოდა მხოლოდ დანაშთი ქონებიდან სამკვიდროს მიღებასთან დაკავშირებული საქმის წარმოება. შეთანხმებულ საზღაურზე ზემოთ თანხები დაიხარჯა მხოლოდ დოკუმენტაციის მომზადების მიზნით. ადვოკატი განმარტავს, რომ თანხები დაიხარჯა გარდაცვალების მოწმობების, ცნობა–დახასიათებების, რწმუნებულებების გაფორმების და საჯარო რეესტრში ქონების კლიენტის სახელზე რეგისტრაციის მიზნით.

2.14 ადვოკატი განმარტავს, რომ კლიენტთან ურთიერთობა დაიძაბა საჩივრის ავტორის მეგობრის - ქალბატონი მ. -ს საქმეში ჩართვის შემდეგ, რომელიც მას დაყვებოდა ნოტარიუსთან და აღმასრულებელთან.

2.15 ადვოკატის განმარტებით, მან კლიენტისაგან ჯამურად მიღებული აქვს 2510 (ორი ათას ხუთას ათი) ლარი და 100 (ასი) ევრო. ჰონორარის გარდა, ეს თანხა განკუთვნილი იყო ხარჯებისათვის, რაშიც შედიოდა საბუთების მოძიება, 2 რწმუნებულების გაკეთება, სახელმწიფო ბაჟი, ადვოკატის გადაადგილების ხარჯები და ა.შ. ამ თანხაში შედის ნოტარიუსთან სამკვიდროს მიღების და საჯარო რეესტრში რეგისტრაციის თანხაც.

2.16 ადვოკატის განმარტებით, ის ნ. ჯ.-ს საქმეს მიიყვანს ბოლომდე, რეგისტრაციის ჩათვლით.

IV სამოტივაციო ნაწილი

3. ფორმალური წინაპირობების შემოწმება:

3.1 ადვოკატი გ. ა. არის საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის წევრი /სიითი №..../ სპეციალიზაცია - სამოქალაქო სამართალი. ადვოკატის ადვოკატთა ასოციაციის წევრობა არ არის შეჩერებული, ასევე ადვოკატი არ არის გარიცხული საქართველოს ადვოკატთა ასოციაციიდან.

3.2 ნ. ჯ.-მ ეთიკის კომისიას საჩივრით მომართა 2018 წლის 15 მაისს.

3.3 სადავო ქმედება განხორციელდა 2015-2018 წლებში. ,,ადვოკატთა შესახებ" საქართველოს კანონის 32-ე მუხლის მე-2 პუნქტის საფუძველზე არ არის გასული დისციპლინური დევნის აღძვრისთვის დადგენილი ხანდაზმულობის ვადა – 5 წელი.

4. შემაჯამებელი დასკვნა:

ეთიკის კომისიას მიაჩნია, რომ ადვოკატ გ. ა.-ის მიმართ არ უნდა აღიძრას დისციპლინური დევნა, რადგან მოცემულ შემთხვევაში არ არსებობს „ადვოკატთა შესახებ" საქართველოს კანონის 32-ე მუხლითა და „ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ" დებულების 30-ე მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული დისციპლინური დევნის აღძვრის საფუძველი.

5. სამართლებრივი შეფასება:

5.1 საჩივრის ავტორის პრეტენზია ადვოკატ გ. ა.-ის მიმართ გამოიხატა შემდეგში: ადვოკატი მას არ აწვდიდა ინფორმაციას საქმის მსვლელობის შესახებ; ადვოკატმა გაუწია არაკვალიფიციური მომსახურება, რადგან მის მიერ დაწყებული არც ერთი სამოქალაქო საქმე არ დაასრულა ბოლომდე; ადვოკატმა კლიენტს არ დაუბრუნა გადახდილი ჰონორარი.

5.2 საპროცესო კოლეგიამ იმსჯელა ადვოკატ გ. ა.-ის მიერ შემდეგი მუხლების შესაძლო დარღვევის თაობაზე:

5.2.1 ,,ადვოკატთა შესახებ" საქართველოს კანონის მე-5 მუხლის ,,ა" ქვეპუნქტი:,,ადვოკატი ვალდებულია კეთილსინდისიერად შეასრულოს პროფესიული ფუნქციები."

5.2.2 ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-8 მუხლის მე-5 ნაწილი: ,,ადვოკატმა კვალიფიციურად და კეთილსინდისიერად უნდა მისცეს რჩევა კლიენტს და განახორციელოს წარმომადგენლობა."

5.2.3 ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-8 მუხლის მე-6 ნაწილი: ,,ადვოკატმა კლიენტს მასთან შეთანხმებული წესით უნდა მიაწოდოს ინფორმაცია მასზე მინდობილი საქმის მსვლელობისა და საქმის წამოების მოსალოდნელი ხარჯების შესახებ".

5.3 წარმომადგენლობითი უფლებამოსილების განხორციელებისას ადვოკატის ვალდებულება - დაიცვას კლიენტის ინტერესები, წარმოიშობა მხარეთა შორის გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე, რომელიც საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის თანახმად, შეიძლება დაიდოს როგორც წერილობითი, ასევე ზეპირი ფორმით. ადვოკატი ვალდებულია საადვოკატო მომსახურების გაწევისას კლიენტის ინტერესები წარმოადგინოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა საშუალების გამოყენებით და საქმის წარმოებისას კლიენტს

დროულად მიაწოდოს მისი საქმის მიმდინარეობის თაობაზე სწორი ინფორმაცია კლიენტისთვის გასაგებ ენაზე მასთან წინასწარ შეთანხმებული წესით.

5.4 ინფორმაციის მიწოდებასთან დაკავშირებით ეთიკის კომისიამ 2011 წლის 28 იანვრის გადაწყვეტილებაში დისციპლინურ საქმეზე N074/10 განმარტა, რომ ,,ადვოკატის მოვალეობაა კლიენტს მიაწოდოს ყველა ინფორმაცია, რაც უკავშირდება მისი საქმის წარმოებას, რათა კლიენტმა იცოდეს მის მიერ მინდობილი საქმის მსვლელობის თაობაზე... ადვოკატის აღნიშნული ვალდებულება პირდაპირ კავშირშია კლიენტის ინტერესებთან, რადგან კლიენტი წარმოადგენს საქმის შედეგით დაინტერესებულ პირს და მნიშვნელოვანია ის ფლობდეს ინფორმაციას მისი საქმის მიმდინარეობის თაობაზე.“ ეთიკის კომისიამ კლიენტის დროული ინფორმირება გადაწყვეტილების მიღების უფლებამოსილების გადანაწილებას დაუკავშირა 2012 წლის 22 მარტის გადაწყვეტილებაში დისციპლინურ საქმეზე N092/11, სადაც განმარტა, რომ ,,ინფორმაციის მიწოდების ვალდებულება უკავშირდება გადაწყვეტილების მიღების უფლებამოსილების გადანაწილებას, კლიენტი ჩართულია საქმის მიმდინარეობის თაობაზე და აქვს შესაძლებლობა, გონივრულად მართოს საკუთარი ქმედებები. ადვოკატი ვალდებულია განუმარტოს კლიენტს საკითხები ზედმიწევნით, რაც კლიენტს მისცემს შესაძლებლობას, მიიღოს ინფორმირებული გადაწყვეტილებები.“

5.5 საპროცესო კოლეგია განმარტავს, რომ საჩივრის ავტორსა და ადვოკატს შორის 2015 წლის 02 დეკემბერს წერილობითი ფორმით დაიდო საადვოკატო მომსახურების ხელშეკრულება. ხელშეკრულებით ადვოკატმა გ. ა.-მ აიღო ვალდებულება ნ. ჯ.-სთვის გაეწია სასამართლებრივი დახმარება სამოქალაქო საქმეზე–სამკვიდრო ქონებიდან კუთვნილი 1/3 წილის მიღებასთან დაკავშირებით.

5.6 საპროცესო კოლეგიამ დადგენილად მიიჩნია, რომ ადვოკატი გ. ა. სამკვიდრო ქონებასთან დაკავშირებული საქმის წარმოების მიზნით დაუკავშირდა ნოტარიუსს გ. გ.-ს და მასთან გაიარა ყველა ის საკითხი, რომელიც საჭირო იყო სამკვიდროს მისაღებად. აღნიშნულს ადასტურებს საქმეში მტკიცებულების სახით წარმოდგენილი სამკვიდროს გამცემი ნოტარიუსის გ. გ.-ის მიერ გაცემული ცნობა ადვოკატ გ. ა.-ის მიმართვაზე. საპროცესო კოლეგიის შეფასებით, საქმის წარმოების მიზნით ადვოკატმა შეაგროვა შემდეგი საბუთები: ნ. ჯ.-ს დაბადების მოწმობა, ლ. გ.-ის გარდაცვალების მოწმობა, დ. გ.-ის გარდაცვალების მოწმობა, ნ. ჯ.-ს საინფორმაციო ბარათი, არქივიდან ამოიღო ქორწინებისა და განქორწინების მოწმობები, რაც მტკიცებულების სახით წარმოდგენილია საქმეში.

5.7 საპროცესო კოლეგია მხარეთა მიერ წარმოდგენილი ახსნა–განმარტებების და მტკიცებულებების საფუძველზე დადგენილად მიიჩნევს, რომ ნ. ჯ.-ს ძმამ ს. გ.-მა ორჯერ მიმართა ნოტარიუსს გ. გ.-ს სამკვიდრო მოწმობის მხოლოდ მასზე გაცემის მოთხოვნით, რაზეც ნოტარიუსმა უარი განუცხადა. გაცხადებული უარის შემდეგ ს. გ.-მა სარჩელით მიმართა ქ.რუსთავის საქალაქო სასამართლოს, სადაც მოპასუხედ დაასახელა ნოტარიუსი–გ. გ.. კოლეგია დადგენილ გარემოებად მიიჩნევს იმ ფაქტს, რომ ამ ეტაპზე დავა განიხილება სააპელაციო წესით და იგი დასრულებული არაა ადვოკატისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო. ნ. ჯ.-ს დის ინტერესების დამცველის ა. ხ.-ის ჯანმრთელობის მდგომარეობის გათვალისწინებით, ვერ ხერხდება პროცესის ჩანიშვნა, ხოლო ნოტარიუსი არაა უფლებამოსილი სასამართლოში დავის მიმდინარეობის პროცესში თავად გასცეს სამკვიდრო მოწმობა. შესაბამისად, საპროცესო კოლეგია ვერ გაიზიარებს საჩივრის ავტორის პოზიციას იმასთან დაკავშირებით, რომ ადვოკატი გ. ა. სააპელაციო სასამართლოში საქმის წარმოებას განზრახ აჭიანურებს. კოლეგია

ითვალისწინებს იმ გარემოებას, რომ პროცესის ჩანიშვნის საკითხი არ შედის ადვოკატ გ. ა.-ის კომპეტენციაში.

5.8 ადვოკატი სამკვიდრო ქონებასთან დაკავშირებული დავის პარალელურად აწარმოებდა ნ. ჯ.-ს ყოფილი მეუღლის – მ. ჯ.-ს გამოსახლების საქმეს. კოლეგიის წინაშე წარმოდგენილი მტკიცებულებების საფუძველზე დგინდება, რომ ადვოკატმა გ. ა.-მ მ. ჯ.-ს გამოსახლების მიზნით განაახლა საჯარო რეესტრის ამონაწერი და განცხადებით მიმართა ქ.რუსთავის პოლიციის სამმართველოს. გამომძიებელმა გ. მ.-მ დაიბარა მ. ჯ. და იგი გააფრთხილა, რომ თავი შეეკავებინა ნ. ჯ.-ს საკუთრებით სარგებლობისგან და აღარ შეეწუხებინა ოჯახი. მას შედეგ რაც გამოსახლების საკითხი სასამართლო კომპეტენციას დაექვემდებარა, ადვოკატმა სარჩელით მიმართა სასამართლოს. რუსთავის საქალაქო სასამართლომ მიიღო დაუსწრებელი გადაწყვეტილება, რომლითაც დაკმაყოფილდა ნ. ჯ.-ს მოთხოვნა, გაიცა სააღსრულებო ფურცელი და მ. ჯ. გამოასახლეს ნ. ჯ.-ს კუთვნილი ბინიდან. გამოსახლების პროცესს თავად ადვოკატი გ. ა. დაესწრო.

5.9 საქმეში წარმოდგენილია ოქმი სააღსრულებო მოქმედების განხორციელების შესახებ, რომლითაც დასტურდება, რომ გამოსახლების პროცესი დასრულებულია და მ. ჯ.-ს პირადი ნივთები გაიტანეს ბინიდან. კოლეგია ვერ გაიზიარებს საჩივრის ავტორის პრეტენზიას იმასთან დაკავშირებით, რომ რადგან მ. ჯ. პირადად არ დასწრებია გამოსახლების პროცესს, ადვოკატ გ. ა.-ს საქმე ბოლომდე არ უწარმოებია. კოლეგია განმარტავს, რომ გამოსახლების პროცესის დასრულებისთვის არსებითი მნიშვნელობა არ აქვს ესწრებოდა თუ არა პროცესს თავად მ. ჯ..

5.10 მხარეთა პოზიციით ირკვევა, რომ კლიენტი ინფორმირებული იყო ადვოკატ გ. ა.-ის მიერ ნაწარმოები თითოეული სამოქალაქო საქმის მსვლელობის შესახებ. საპროცესო კოლეგიის სხდომაზე, 2018 წლის 16 ივლისს საჩივრის ავტორმა დაადასტურა, რომ მისი მოთხოვნის შესაბამისად ადვოკატმა გაუგზავნა საქმის მასალები. საჩივრის ავტორმა დაადასტურა, რომ იგი ფლობდა ინფორმაციას, როგორც მ. ჯ.-ს გამოსახლების საკითხთან ასევე სამკვიდროს მიღების საქმესთან დაკავშირებით. საპროცესო კოლეგიის შეფასებით, მხარეთა ახსნა–განმარტებიდან ირკვევა, რომ მხარებს ჰქონდათ აქტიური კომუნიკაცია სკაიპისა და ვაიბერის მეშვეობით და ნ. ჯ.-ს არ შეზღუდვია შესაძლებლობა ადვოკატ გ. ა.-ისგან მიეღო ნებისმიერი სახის ინფორმაცია საქმესთან დაკავშირებით. შესაბამისად, კოლეგია ვერ გაიზიარებს საჩივრის ავტორის პოზიციას იმასთან დაკავშირებით, რომ იგი არ ფლობდა ინფორმაციას საქმეების მიმდინარეობის შესახებ, რადგან მისი ზეპირი ახნა - განმარტების საფუძველზე საპირისპირო დგინდება.

5.11 საპროცესო კოლეგიამ დადგენილად მიიჩნია, რომ ადვოკატ გ. ა.-ის მიერ ნაწარმოები ორი სამოქალაქო საქმიდან ერთი – მ. ჯ.-ს გამოსახლების საქმე დასრულებულია, რასაც ადასტურებს საქმეში მტკიცებულების სახით წარმოდგენილი ოქმი სააღსრულებო მოქმედების განხორციელების შესახებ, ხოლო მეორე საქმე–სამკვიდრო ქონებიდან კუთვილი 1/3 წილის მიღების საკითხი ჯერ არ დასრულებულა, რადგან დავა მიმდინარეობს სააპელაციო სასამართლოში. ადვოკატის პოზიციიდან ირკვევა, რომ ის აპირებს ამ საქმის წამროების ბოლომდე დასრულებას მიღებული საადვოკატო მომსახურების თანხის ფარგლებში. შესაბამისად, კოლეგიას გაუჩნდა დასაბუთებული ვარაუდი, რომ ადვოკატი ყველა მნიშვნელოვანი სიახლის შესახებ აწვდიდა ინფორმაციას კლიენტს და მან საქმე აწარმოა კვალიფიციურად.

5.12 საპროცესო კოლეგიამ მომჩივანის პრეტენზიაზე საადვოკატო ურთიერთობის შეწყვეტის შემდეგ, ადვოკატის მიერ საადვოკატო მომსახურების თანხის დაუბრუნებლობასთან დაკავშირებით, იმსჯელა ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-8 მუხლის მე-15 ნაწილის შესაძლო დარღვევის თაობაზე:

,,კლიენტის ინტერესების დაცვის შეწყვეტისას ადვოკატმა კლიენტს უნდა დაუბრუნოს ყველა დოკუმენტი, ფულადი სახსრები ან სხვა ქონება, რომელიც კლიენტმა ადვოკატს გადასცა ან მიანდო წარმომადგენლობითი უფლებამოსილების განხორციელებისას ან წარმოების პროცესში. კლიენტისათვის გადასაცემი თანხიდან ადვოკატს უფლება აქვს გამოქვითოს ურთიერთობის შეწყვეტამდე განხორციელებული მომსახურებისათვის მისაღები გასამრჯელო და გაწეული ხარჯი.“

5.13 საადვოკატო მომსახურების საფასურს წარმოადგენს თანხა, რომელზეც ადვოკატი და კლიენტი წინასწარ თანხმდებიან გასაწევი იურიდიული მომსახურების სანაცვლოდ. შესაძლებელია ადვოკატ-კლიენტის ურთიერთობა დასრულდეს ერთ-ერთი მხარის ნების საფუძველზე, ადვოკატის მიერ შეთანხმებით ნაკისრი ვალდებულების სრულად შესრულებამდე. კლიენტის მიერ გარკვეული მოცულობის სამუშაოს გასაწევად გადახდილი შეთანხმებული ჰონორარი, არ მიიჩნევა ადვოკატის მიერ სამართლიანად გამომუშავებულად, თუკი ადვოკატმა ვერ განახორციელა საადვოკატო მომსახურება იმ მოცულობითა და ფარგლებში, როგორც ამას კლიენტთან შეთანხმება ითვალისწინებდა. იმ შემთხვევაში როდესაც ადვოკატს კლიენტისგან მიღებული აქვს შეთანხმებული საადვოკატო მომსახურების საფასური სრულად, ხოლო მან ხელშეკრულების შეწყვეტის გამო ვერ შეძლო წარმომადგენლობის დასრულება, ადვოკატს უფლება აქვს მიღებული თანხიდან გამოქვითოს ურთიერთობის შეწყვეტამდე განხორციელებული მომსახურებისათვის მისაღები გასამრჯელო და გაწეული ხარჯი და ვალდებულია დარჩენილი თანხა დაუბრუნოს კლიენტს. აღნიშნული ეთიკური ვალდებულების დაცვა ემსახურება კლიენტის საუკეთესო ინტერესებს და ადვოკატის პროფესიულ სახეს, რომელიც თავისი ქმედებებით პატივისცემას უნდა აღძრავდეს კლიენტში და განამტკიცებდეს ადვოკატ-კლიენტის ურთიერთობას.

5.14 საჩივრის ავტორსა და ადვოკატს შორის შეთანხმება საადვოკატო მომსახურების შესახებ არსებობდა წერილობითი ფორმით, სადაც მხარეების მიერ განისაზღვრა იურიდიული მომსახურების საფასური. ეთიკის კომისიაში საქმის საპროცესო განხილვისას ორივე მხარემ დაადასტურა, რომ შეთანხმებულები იყვნენ ჰონორარის 1500 (ათას ხუთასი) ლარის გადახდაზე, რომელიც ადვოკატს სრულად გადაეცა. საპროცესო კოლეგიის სხდომაზე ორივე მხარემ დაადასტურა ის გარემოება, რომ ადვოკატს ნ. ჯ.-საგან სულ მიღებული აქვს 2510 (ორი ათას ხუთას ათი) ლარი და 100 (ასი) ევრო.

5.15 საქმის მასალების თანახმად, ადვოკატმა გ. ა.-მ აიღო ნ. ჯ.-ს 2 საქმე: პირველი საქმე, რომელიც ეხებოდა ნ. ჯ.-ს საკუთრებაში არსებული ბინიდან ნ. ჯ.-ს ყოფილი მეუღლის გამოსახლებას - ადვოკატმა დაასრულა, დადგა შედეგი, ბინიდან გამოასახლეს ნ. ჯ.-ს მეუღლე. შესაბამისად, ამ კუთხით ჰონორარის ნაწილში საჩივრის ავტორის მოთხოვნა უსაფუძვლოა.

5.16 კოლეგიის შეფასებით, ნ. ჯ.-ს მეორე საქმე, რომელიც ეხება სამკვიდრო ქონების მიღებას ნ. ჯ.-ს მიერ, ეს საქმე არის მიმდინარე. კლიენტი თანახმაა ადვოკატმა გ. ა.-მ საქმის წარმოება მიიყვანოს ბოლომდე, თავის მხრივ, ადვოკატიც აცხადებს მზაობას, ქონების კლიენტის სახელზე საჯარო რეესტრში აღრიცხვის ჩათვლით გაუწიოს ამ საქმეზე მომსახურება ნ. ჯ.-ს.

5.17 კოლეგიის შეფასებით, ჰონორარის 1500 ლარის გარდა მიღებული სხვა თანხები წარმოადგენს საქმის წარმოებისათვის საჭირო ხარჯებს: დოკუმენტების მოძიება/ამოღება, მინდობილობების ელექტრონული კომუნიკაციის საშუალებით - სკაიპით გაფორმება, ნოტარიუსის საზღაური, სახელმწიფო ბაჟის თანხა, სააღსრულებო მოსაკრებელი, ქონების საჯარო რეესტრში ქონების რეგისტრაცია, ადვოკატის გადაადგილების ხარჯები.

5.18 კოლეგია განმარტავს, რომ რადგან გ. ა.-ს (თავისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო) ჯერ არ დაუსრულებია ნ. ჯ.-ს საქმე სამკვიდრო ქონების მიღების კუთხით და ადვოკატი მზადაა საქმე დაასრულოს, რისთვისაც მას უკვე აქვს მიღებული საადვოკატო მომსახურების ჰონორარი, ეთიკის კომისია მოკლებულია შესაძლებლობას შეაფასოს ადვოკატის მიერ სამომავლოდ განსახორციელებელი მოქმედებები ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-8 მუხლის მე-15 ნაწილის შესაძლო დარღვევის კუთხით.

5.19 საპროცესო კოლეგია მიიჩნევს, რომ არ არსებობს საკმარისი ვარაუდი ადვოკატის მიერ დისციპლინური გადაცდომის ჩადენის თაობაზე და შესაბამისად, ადვოკატ გ. ა.-ის მიმართ არ უნდა აღიძრას დისციპლინური დევნა.

III სარეზოლუციო ნაწილი

ეთიკის კომისიამ იხელმძღვანელა,,ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის ,,ა“ ქვეპუნქტით; ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე–8 მუხლის მე–5, მე-6 და მე-15 ნაწილებით; 32–ე მუხლით, ,,ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ'' დებულების მე-4 მუხლის მე-5 და მე-6 პუნქტებით, მე-19 მუხლით, 27-ე მუხლით, 28-ე მუხლით, 30-ე მუხლის მეორე პუნქტით, 31-ე მუხლით, მე-40 მუხლის პირველი პუნქტით და გადაწყვიტა:

1. დისციპლინურ საქმეზე №064/18 ადვოკატ გ. ა.-ის მიმართ /სიითი №...../ არ აღიძრას დისციპლინური დევნა.
2. გადაწყვეტილების ასლი გაეგზავნოს მხარეებს.
3. საპროცესო კოლეგიის გადაწყვეტილება არ საჩივრდება.

კოლეგიის თავმჯდომარე: /თორნიკე ბაქრაძე/

კოლეგიის წევრი: /მარიკა არევაძე/

კოლეგიისწევრი: /ცისმარი ონიანი/